MES 3 23 0001773555

28/12/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 18 დეკემბერს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.
Time: Dec 18, 2023 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/87611318212?pwd=L2FYM3ZucVZoNjRTZFBzZG9CaDZzZz09
Meeting ID: 876 1131 8212
Passcode: 946671

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:
შპს ბრაით ლაინი
გულიკო ქათამაძე - დირექტორი
მზია ბაკურიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ალექსანდრე ტაკიძე - სასწავლო პროცესის კოორდინატორი, სოც-მედია მენეჯერი
ლია ცინცაძე - „მაკიაჟის შესრულება“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი
ქეთი ცინცაძე - „თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი
გივი ნახუცრიშვილი - „ღონისძიებების ფოტოგადაღება“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის
რუსუდან ბოჭორიშვილი - კოალიციის დამფუძნებელი, გამგეობის თავმჯდომარე, პროფესიული განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელი, ტრენერი
ინგა ზარანდია - კოალიციის დამფუძნებელი, ტრენერი, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის სუპერვიზორი, აბილიტაციისა და განვითარების ცენტრის დირექტორი
ანა გაზაშვილი - კოალიციის დამფუძნებელი, საქართველოს ბავშვების დირექტორი
ნინო ცინცაძე - კოალიციის დამფუძნებელი, ბავშვის განვითარების ინსტიტუტის დირექტორი

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
არჩილ ცინცაძე - დირექტორის მოადგილე
ნინო ხაჩიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ზაზა ამირეჯიბი - საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამების მენეჯერი
ლაშა გოლეთიანი - მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების მენეჯერი
გვანცა გურჩიანი - სასწავლო პროცესის მენეჯერი

შპს MAGNIUM+

რომან ზაალიშვილი - აკადემიის ხელმძღვანელი
სოფო ფიროსმანაშვილი - აკადემიის ადმინისტრაციული მენეჯერი
გიორგი მარტყოფლიშვილი - ტექნიკური მხარდაჭერის ინჟინერი

პროფესიულიმომზადებისპროგრამებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამების დარგის ე ქსპერტები:
ნინო ბოკუჩავა
თეა ხარაზიშვილი
ელენე ბერაძე
ლაზარე კომახიძე
აკაკი ჟღენტი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს, რაზეც გიორგი გამყრელიძემ თანხმობა განაცხადა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს ბრაით ლაინის „თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება“ /01809/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ბრაით ლაინის „მაკიაჟის შესრულება“ /01810/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ბრაით ლაინის „ფრჩხილის მოვლა და დიზაინი“ /01811/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს ბრაით ლაინის „ღონისძიებების ფოტოგადაღება“ /01811/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. ა(ა)იპ კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის „ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მომზადების პროგრამა'' /01819/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „კლდეზე ცოცვის გამყოლი“ /01816/ ქ. თბილისში, მეკლდეურთა სპორტულ დარბაზში (შპს ალპური კლუბი), ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე, თურქეთის პროვინცია გეიკბაირში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს ,, MAGNIUM+’’-ის „VRF & VRV სისტემების მომსახურება'' /01796/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

1. შპს ბრაით ლაინის „თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება“ /01809/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ბრაით ლაინის „მაკიაჟის შესრულება“ /01810/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 30 ოქტომბრის №1464964 და №1464961 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამების „თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება“ და „მაკიაჟის შესრულება“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2023 წლის 15 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ბრაით ლაინში, მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №30.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა.

გაიცა ერთი რეკომენდაცია 2.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში ორივე პროგრამის შემთხვევაში.

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

რეკომენდაცია: ვინაიდან აღნიშნულ პროგრამებზე იურიდიულ პირს განსაზღვრული აქვს 10-10 მსმენელის მიღება, რეკომენდებულია, „თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება“ და „მაკიაჟის შესრულება“ განხორციელდეს/გადანაწილდეს კვირის სხვადასხვა დღეებში.

დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ორივე პროგრამა არის პროფესიული მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10-10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №30.

„თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნების“ პროფესიული მომზადების პროგრამის შემთხვევაში - პროგრამის ხანგრძლივობაა - 12 კვირა, ხოლო „მაკიაჟის შესრულების“ შემთხვევაში - 9 კვირა.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი, სადაც გაწერილია სილამაზის მომსახურების სფეროში დეფიციტის შესახებ, აღნიშნულმა ორგანიზაციამ რეგიონში ჩაატარა კვლევა, კვლევის შედეგების ანალიზით დადგინდა ამ სფეროში კვალიფიციური კადრების არსებობა, სწორედ ეს გახდა საფუძველი აჭნიშნული პროგრამების განხორციელების შესახებ.

პროგრამის სახელწოდება ორივე პროგრამის შეთხვევაში შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ამოყალიბებული და შესაბამისობაშია წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგებთან.

მან ასევე აღნიშნა, რომ ორივე პროგრამის შემთხვევაში სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.

წარმოდგენილი პროგრამების ხანგრძლივობა პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლების მეთოდები, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც ეფუძნება ორგანიზაციის ინფრასტრუქურას, ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი, შექმნილი გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილია AC სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია 10 მსმენელისთვის სამუშაო ადგილი, 1 ადგილი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის. სასწავლო გარემოში განთავსებულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა. AC სასწავლო გარემო ეთმობა ორ პროგრამას - თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება და მაკიაჟის შესრულება. თითოეულ პროფესიული მომზადების პროგრამაზე იურიდიულ პირს აქვს 10 მსმენელის მომზადების რესურსი, რაც გულისხმობს მსმენელებისა და განმახორციელებელი პირის შესაბამისი სასწავლო გარემოთი უზრუნველყოფას (ინვენტარი - სტუდენტისა და მასწავლებლის მაგიდები და სკამები, პროექტორი, კომპიუტერი, მანეკენი, ნიჟარა, ფენი, გასასწორებელი უთო, გასაშრობი ორმხრივი სავარცხელი, სამუშაო სარკე, თმის სამაგრები, შტატივი მანეკენის თავისთვის, ხელთათმანები და სხვ.). ვინაიდან აღნიშნულ პროგრამებზე იურიდიულ პირს განსაზღვრული აქვს 10-10 მსმენელის მიღება, რეკომენდებულია, „თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება“ და „მაკიაჟის შესრულება“ განხორციელდეს/გადანაწილდეს კვირის სხვადასხვა დღეებში.

რაც შეეხება მსმენელის შეფასების სისტემას, შპს ბრაით ლაინში შემუშავებულია დოკუმენტი - პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელთა შეფასების წესი. დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2023 წლის 1 აგვისტოს №01 ბრძანებით,

დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ ხდება მსმენელების შეფასება. დოკუმენტის თანახმად, შეფასების დროს გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის შესახებ, სასწავლო რესურსით და ასევე, ვიზუალური დათვალიერებით.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნით.
იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მ ი მ წ ო დ ე ბ ლ ი ს
როლი და ადგილი შესაბამისი დარგის განვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია აქამდე არ ახორციელდება-პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, ორგანიზაციას აქვს გამოცდილება სასერტიფიკატო პროგრამის განხორციელების,ასევე დარგის მიმართულებით მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება.
იურიდიული პირი ითვალისწინებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“- თანახმად, აპლიკანტები პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაიშვებიან პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად, დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.
რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს ბრაით ლაინმა ელ. სისტემაში წარმოადგინა დოკუმენტი - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №3 ბრძანებით, რომლის მიზანია ორგანიზაციის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტთან ერთდ ელ. სისტემაში ატვირთულია ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კითხვარები - მსმენელის კითხვარი, პროგრამის შეფასების კითხვარი და პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კითხვარი.
მესამე სტანდარტის ქვესტანდარტები - 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 - გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის დასასრულს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, თუ რა მიდგომა ჰქონდა გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას და დასძინა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია სწორედ პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე გასცა დარგის ექსპერტმა. მან მიმართა საბჭოს, რომ ეს ორი პროგრამა განხორციელდებოდა სხვადასხვა დღეებში, დღემონაცვლეობით.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნანი დალაქიშვილი დაინტერესდა, ხომ არ გამოიწვევდა აღნიშნული ცვლილება კვირების ან საათობრივი დატვირთვის ცვლილებას, რაზეც დარგის ექსპერტმა და დაწესებულების დირექტორმა განმარტეს, რომ არ გამოიწვევდა ცვლილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრაით ლაინის „თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება“ /01809/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბრაით ლაინს (ს/კ: 445708477) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება /01809/ **(დანართი 1)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრაით ლაინის „მაკიაჟის შესრულება“ /01810/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბრაით ლაინს (ს/კ: 445708477) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მაკიაჟის შესრულება /01810/ **(დანართი 2)**.

3. შპს ბრაით ლაინის „ფრჩხილის მოვლა და დიზაინი“ /01811/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა ხარაზიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 30 ოქტომბრის №1464962 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა თეა ხარაზიშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ფრჩხილის მოვლა და დიზაინი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 17 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ბრაით ლაინში, მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №30.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა პროფესიული მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 8, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №30.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ელექტრონულ სისტემაში ატვირთული აქვს დოკუმენტი - პროფესიული მომზადების პროგრამების საჭიროების დასაბუთება, სადაც მიმოხილულია ის გამოწვევები, რაც უკავშირდება სილამაზის ინდუსტრიაში კვალიფიციური კადრების არსებობას. შესაბამისად, აუცილებელია, განხორციელდეს აქტივობები, რომლებიც შეამცირებს შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდების შეუსაბამობას. ამ საჭიროებების დაკმაყოფილებას კი შეძლებენ პროფესიული მომზადების პროგრამების შემუშავებით, შეთავაზებითა და განხორციელებით, რომელთა კვალიფიკაცია, ცოდნა და კომპეტენცია დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის საჭიროებებს.

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის ფარგლებში მსმენელი მიიღებს თეორიულ ცოდნას და გამოუმუშავდება პრაქტიკული უნარები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

ორგანიზაციამ წარმოადგინა დოკუმენტი - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტის შერჩევა გასაუბრების, კონკურსის საფუძველზე, რომელშიც გაწერილია თუ როგორ ხდება მსმენელთა ჩარიცხვა აღნიშნულ პროგრამაზე. გასაუბრება პროფესიის მოსინჯვის მეთოდით ითვალისწინებს აპლიკანტის მიერ კომისიის წინაშე პროფესიასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხს, რომლის ფარგლებში კომისია აფასებს: აპლიკანტის ინფორმაციას პროფესიასთან მიმართებაში; მსგავსი სამუშაოს შესრულების გამოცდილებას; პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებებსა და პიროვნულ მახასიათებლებს; მოტივაციას. თითოეულ კომპონენტში პირი ფასდება 0-10 ქულით. მინიმალური ბარიერი შეადგენს არანაკლებ 20 ქულას.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს ექვსი სწავლის შედეგის მიღწევას.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 8 კვირაა, კვირეული დატვირთვა - 20-25 საათი, სულ საათების რაოდენობა - 165. სწავლება განხორციელდება რეალურ სამუშაო

გარემოში - შპს ბრაით ლაინში. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული.
სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. რომელიც ეფუძნება შპს ბრაით ლაინის ინფრასტრუქტურას, სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო ფართს და მაღალი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია AC სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია 10 მსმენელისთვის სამუშაო ადგილი, 1 ადგილი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის. სასწავლო გარემოში განთავსებულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა.
მსმენელის შეფასების სისტემა ანალოგიურია, როგორც განხილული პროგრამების შემთხვევაში.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად, წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ეკუთვნის შპს ბრაით ლაინს, მეორე სტანდარტის ქვესტანდარტი - 2.4 და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტები - 3.1, 3.2, 3.4 შეფასდა ანალოგიურად. მესამე სტანდარტის ქვესტანდარტები - 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 - გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა კითხვები წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებაში და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრაით ლაინის „ფრჩხილის მოვლა და დიზაინი“ /01811/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების,

მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბრაით ლაინს (ს/კ: 445708477) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფრჩხილის მოვლა და დიზაინი /01811/ **(დანართი 3)**.

4. შპს ბრაით ლაინის „ღონისძიებების ფოტოგადაღება“ /01817/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 30 ოქტომბრის №1464960 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ბესარიონ ორმოცაძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ღონისძიებების ფოტოგადაღება“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 16 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ბრაით ლაინში, მისამართზე ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. 52.

დაწესებეულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა პროფესიული მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 11, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. №52.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ელექტრონულ სისტემაში ატვირთული აქვს დოკუმენტი - პროფესიული მომზადების პროგრამების საჭიროების დასაბუთება, სადაც მიმოხილულია ის გამოწვევები, რაც უკავშირდება პირადი მომსახურების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მუდმივ დეფიციტს, ბიზნესის გამართულ მუშაობას ხელს უშლის. შპს ბრაით ლაინმა, მიმდინარე ეტაპისთვის გადაწყვიტა თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნების, მაკიაჟის შესრულების, ფრჩხილის მოვლა და დიზაინის, ღონისძიებების ფოტოგადაღების პროგრამების ფორმალური განათლების სფეროში გადატანა. ამ მიზნით განახორციელა მცირე სატელეფონო გამოკითხვა სილამაზის მომსახურების/ესთეტიკური სალონების არსებული კადრის/სპეციალისტების განათლებისა და კვალიფიკაციის კვლევის მიზნით. გამოკითხული იყო სილამაზის მომსახურების 30-მდე ცენტრი და წამყვანი სალონები რეგიონში (ბათუმი, ქობულეთი, შეკვეთილი).

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
აღნიშნული პროგრამის შემთხვევაშიც შერჩევის კრიტერიუმები ანალოგიურია.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს რვა სწავლის შედეგის მიღწევას.
პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 11 კვირაა, კვირეული დატვირთვა - 20-30 საათი, სულ საათების რაოდენობა - 265. სწავლება განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში - შპს ბრაით ლაინში.
სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 1 ჯგუფში, 10 მსმენელი, სულ 15 მსმენელი, რომელიც ეფუძნება შპს ბრაით ლაინის ინფრასტრუქტურას, სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო ფართს და მაღალი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია AC სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია 10 მსმენელისთვის სამუშაო ადგილი, 1 ადგილი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის. სასწავლო გარემოში განთავსებულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა.
მსმენელის შეფასების სისტემა ანალოგიურია, როგორც სხვა პროგრამების შემთხვევაში.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად, წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ეკუთვნის შპს ბრაით ლაინს, მეორე სტანდარტის ქვესტანდარტი - 2.4 და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტები - 3.1, 3.2, 3.4 შეფასდა ანალოგიურად. მესამე სტანდარტის ქვესტანდარტები - 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 - გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა კითხვები წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებაში და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრაით ლაინის „ღონისძიებების ფოტოგადაღება“ /01817/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბრაით ლაინს (ს/კ: 445708477) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ღონისძიებების ფოტოგადაღება /01817/ **(დანართი 4)**.

5. ა(ა)იპ კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის „ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მომზადების პროგრამა" /01819/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინეს დარგის ექსპერტმა ელენე ბერაძემ, რომელმაც ისაუბრა პირველ სტანდარტთან მიმართებაში და ნონა საათაშვილმა, რომელემაც მოკლედ წარმოადგინა მეორე და მესამე სტანდარტი. დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ნოემბრის №1610220 ბრძანების საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა და დარგის ექსპერტმა ელენე ბერაძემ 2023 წლის 4 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი ააიპ „კოალიცია ადრეული განვითარებისთვის“ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. ჩიხი 2, 14, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე და შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის“ მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში
ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

ხარვეზი: სწავლის შედეგების ფორმულირება ზედმეტად ვრცელია და ჰგავს კვირეულ თემატიკას, რაც დარგის ექსპერტის აზრით, უნდა შეიცვალოს, ლაკონურად შემოკლდეს და მეტად დაკონკრეტდეს, ხოლო ამის შესაბამისად, კვირეული თემატიკა ჩაიშალოს და მეტად განივრცოს. სწავლის შედეგების ფორმულირება უნდა იყოს მეტად ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით და/ან კომპეტენციით აღწერილი. ასევე, გამოყენებული უნდა იყოს მეტი აქტიური ზმნები.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს რეკომენდაციები არ გაცემულა.
წარმოდგენილი პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა, კვირეული დატვირთვა - 12 სთ., სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 75, პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. ჩიხი 2, 14.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ელ. სისტემაში წარმოადგინა პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად განხილულია და წარმოდგენილია ადრეული განვითარების სპეციალისტის კვალიფიკაციის მქონე პირის საჭიროება საქართველოს მაშტაბით. დოკუმენტებში აღნიშნულია სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მიმართულება სოციალური რეაბილიტაციისა და აბილიტაციის პროგრამაში ადრეული განვითარების პროგრამის მნიშვნელოვნება და პრიორიტეტი. წარმოდგენილი იქნა სერვის მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი უკუკავშირები და სპეციალისტების საჭიროების განმსაზღვრელი ფორმები, ასევე, სერვისის მიღების მომლოდინეთა რიცხვი, რომელიც ყოველწლიურად იზრდება და ბაზარზე არსებული სპეციალისტების რაოდენობა ვერ ახერხებს ყველას დაკმაყოფილებას.
ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტების მომზადების აქტუალობა განპირობებულია ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მსურველთა მაღალი მაჩვენებლითა და რაოდენობით, რასაც ცხადყოფს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველ ბენეფიციართა სიაში ბავშვების რაოდენობა. რის შესახებაც ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ზრუნვის სააგენტოში, ან ჯანდაცვის სამინისტროში. მომლოდინეთა სიაში მყოფი ბენეფიციარების დაკმაყოფილება ვერ ხერხდება შესაბამისი პროფესიული კადრის ნაკლებობის გამო. ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის მიმწოდებელი ორგანიზაციების რაოდენობა, რაც ყოველწლიურად იზრდება. ორგანიზაციების რაოდენობა ამ ეტაპზე შეადგენს 56-ს მთელი საქართველოს მასშტაბით. ახალი ორგანიზაციების რეგისტრირებისთვის სავალდებულო იყო ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული სერტიფიკატი, რომელიც გაცემული იყო კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარების მიერ. მომავალში საჭირო იქნება შესაბამისი პროფესიული მომზადების პროგრამის სერტიფიკატი; მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციათა გამოკითხვის შედეგები, სადაც აღნიშნულია ყოველწლიურად ახალი კადრის აყვანის საჭიროება, ბენეფიციართა ლიმიტის ზრდის გამო; ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის მომსახურების სტანდარტი, სადაც გაწერილია დასაქმებული კადრის სტანდარტი, რაც ავალდებულებს ორგანიზაციებს სერტიფიცირებული სპეციალისტების დასაქმებას.
წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამაზე სწავლა შეუძლია უმაღლესი განათლების მქონე, 23 წელს მიღწეულ ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს გახდეს ადრეული განვითარების სპეციალისტი. მონაწილეები შეირჩევიან სამოტივაციო წერილის, ავტობიოგრაფიისა და გასაუბრების საფუძველზე.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენლის სასწავლო დატვირთვა პროგრმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის მოცულობა - 144 სთ. (11 კვირა),

კვირეული დატვირთვა - 12 საათი. აღნიშნული პროგრამა განხორციელდება A სასწავლო გარემოში.
პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა კონკრეტულად გულისხმობს შემდეგს: მსმენელმა უნდა უზრუნველყოს პრაქტიკისთვის 0-დან 7 წლამდე ბავშვისა და ოჯახის ჩართულობა პროცესში, აღნიშნული პრაქტიკის განხორციელებაში. პროფესიული მომზადების პროგრამის მსვლელობის პარალელურად მონაწილეებს/მსმენელებს მოუწევთ თითოეული თემის შემდეგ პრაქტიკულად აღნიშნული თეორიული მასალის ფიზიკურ გარემოში გამოცდა და დავალებების შესრულება/წარმოდგენა. პროგრამის ფარგლებში ხდება თითოეული მონაწილის სუპერვიზია და დაკვირვება.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. თითოეულ სასწავლო თემასთან დაკავშირებით პრე და პოსტ ტესტია გათვალისწინებული, რომელიც ზომავს მონაწილის მიერ თემის ცოდნას და სასწავლო პროცესის ჩატარების ხარისხს. დასწრება/აქტიურობა, ტესტირებები, მიმდინარე დავალებების შესრულება, ზეპირი გამოცდა (რომელსაც აქვს დაშვების წინაპირობა), წერითი გამოცდა (რომელსაც აქვს დაშვების წინაპირობა).
მეორე და მესამე სტანდარტთან დაკავშირებით, ისაუბრა ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით;
10 განმახორციელებელი პირი, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით
ვიზიტის დროს პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადასტურდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილება, მზაობა და სურვილი.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ორგანიზაციას აქვს შესაფერისი A სასწავლო გარემო 25 მსმენელისთვის, სამი დამატებითი ოთახი ჯგუფური მუშაობისთვის.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. ორგანიზაციამ წარმოადგინა 9 სასწავლო რესურსი, ბეჭდური და ელექტრონული მასალა, ვიდეოები.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში; შენობა-ნაგებობაში განთავსებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ალტერნატიული გასავლელის მანიშნებლები. შენობა-ნაგებობებში განთავსებულია ცეცხლმაქრები და მათი გამოყენების ინსტრუქცია. ნაგებობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციის მიერ დეტალურად შემოწმდა და გაიცა სახანძრო ტექნიკური შემოწმების დასკვნაც, რომელსაც ახლავს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც დეტალურად არის გაწერილი 2024 წლის იანვრიდან - მაისის თვის ბოლომდე, ხოლო 2023 წლის შესასრულებელი ღონისძიებები დაწესებულებას გატარებული აქვს.
იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. „კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის“ დაფუძნდა 2015 წელს. კოალიციაში გაწევრიანებული ორგანიზაციები სხვადასხვა საქმიანობის საშუალებით ჩართულია ბავშვთა კეთილდღეობის

გაუმჯობესებაში. კოალიცია აერთიანებს სხვადასხვა დარგის ექსპერტებს (ექიმები, ფსიქოლოგები, ენისა და მეტყველების თერაპევტები, ოკუპაციური თერაპევტები, სოციალური მუშაკები და ა.შ.), რომლებიც ბიო - ფსიქო - სოციალურ მიდგომებზე დაფუძნებული საქმიანობით 0 – 7 წლამდე განვითარების შეფერხების, ამ მხრივ რისკისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და მათ ოჯახებს უჭერენ მხარს.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მოსამზადებელი სასწავლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს წინასწარ დაგეგმილი/განსაზღვრული პროცედურების სისტემატური განხორციელების საშუალებით, კერძოდ: მსმენელთა შეფასების, მსმენელთა კმაყოფილების კვლევისა და ასევე, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის საშუალებით, რაც მონაცემების დამუშავების შემდგომ გათვალისწინებული და გამოყენებული უნდა იყოს პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების გატარებისა და დახვეწის მიზნით.

კოალიციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის, მომსახურების პოლიტიკისა და პროცედურების განვითარებაში, კერძოდ კოალიციის მხარდაჭერით შეიქმნა: ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგამის მომსახურების სტანდარტები, მიმწოდებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის პროცედურები, პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები, აგრეთვე 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ნეირო-განვითარების სკრინინგისა და მეთვალყურეობის პროტოკოლი. ვინაიდან გამოწვევად რჩება ბავშვთა ადრეული განვითარების პროფესიონალებზე მზარდი მოთხოვნა და მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა მომლოდინეთა სიები, სისტემური განვითარების თვალსაზრისით, კოალიციამ უნდა განაგრძოს პროფესიული გამოცდილების გაზიარება ეროვნულ დონეზე და პრობლემის გადასაჭრელად უნდა განახორციელოს სასწავლო პროგრამები, რითაც სერვისის მიმწოდებლებს უზრუნველყოფს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით.

იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მოსამზადებელი პროგრამის გამოცხადების შესახებ“ და ასევე, „ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მოსამზადებელ პროგრამაზე მიღების პირობები“,ორივე დოკუმენტს ახლავს დანართები, სადაც დეტალურად გაწერილია თითოეული პროცედურა, თუ რას უნდა მოიცავდეს განთავსებული განაცხადი, როგორ ხდება კონკურსის გამოცხადება და შემდგომ მონაწილეთა დოკუმენტების გადარჩევა, ასევე დოკუმენტს დანართად ახლავს გასაუბრების კითხვარიც.

რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არარსებობის გამო ამ ეტაპზე აღნიშნული ქვესტანდარტები ვერ შეფასდა.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ძალიან საინტერესოა და მნიშვნელოვანი, ასეთი პროგრამების არსებობა ბაზარზე ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ამ მიმართულებითაც იყვნენ კვალიფიციური სპეციალისტები. მან მიმართა დარგის ექსპერტს, რომ დაეკონკრეტებინა აღნიშნული პროგრამა მხოლოდ სსსმ პირებზეა გათვლილი თუ არა, ასევე, მხოლოდ კერძო სექტორში დასაქმდებიან თუ სხვაგანაც შეუძლიათ დასაქმდნენ, რაზეც ორგანიზაციის წარმომადგენელმა რუსუდან ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა გათვლილია სსსმ პირებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს არის სახელმწიფო ქვეპროგრამა, რომელიც ხორციელდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, მოსარგებლეები ამ ქვეპროგრამიდან, ოჯახები არიან რეგისტრირებული როგორც ამ სერვისის მიღების მაძიებლები, შესაბამისად ისინი შემდგომ იღებენ მომსახურებას, ან სპეციალისტის სახლში ვიზიტების საშუალებით, ან ზოგიერთ შემთხვევაში ცენტრში მოსვლითაც, ეს ყველაფერი რეგისტრირებულია ჯანდაცვის

სამინისტროში და დაფინანსებაც ხდება ჯანდაცვის ხაზით (მათ აქვთ ამ მომსახურების მიღების სახელმწიფო ვაუჩერი).
ნინო ცინცაძემ დააზუსტა დასაქმებასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ისინი არიან დასაქმებულები ამ სერვისის - სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამის განმახორციელებელ (მიმწოდებელ) პროვაიდერ ორგანიზაციებში, რომლებიც ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმით არიან დარეგისტრირებულები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროსაც იყო შეკითხვები ორგანიზაციასთან ამასთან დაკავშირებით. მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი მიმართულების განათლების მქონე პირს შეუძლია ისწავლოს და დასაქმდეს ამ სფეროში. დაწესებულებამ მყარი არგუმენტებით დაასაბუთა, რომ პირველ რიგში ეს სპეციალისტები იმუშავებენ სუპერვიზიის ქვეშ და არა დამოუკიდებლად.
რუსუდან ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ეს პროცესი სიახლეა და პირველად შემოიტანეს პროგრამა უფლების მოპოვებაზე, ალბათ გამოუცდელობის ბრალია, კარგად ვერ ჩამოყალიბდნენ და მიაჩნიათ, რომ პროგრამის დონე არა მეოთხე, არამედ უნდა იყოს განსაზღვრული მეხუთე დონე. ვინაიდან, ადრეული განვითარების სპეციალისტები ყოველ ჯერზე სხვადასხვა ოჯახში, სხვადასხვა ოჯახის არსებული გარემოს შეფასებით მაინც დამოუკიდებლად მუშაობენ და პროფესიული სუპერვიზია კი სავალდებულოა, თუმცა ეს შეიძლება თვეში ერთხელ განხორციელდეს, დანარჩენ შემთხვევაში, მათ უწევთ დამოუკიდებლად მუშაობა, შეფასება და დასკვნის დაწერა, ამიტომ, ბევრი მსჯელობისა და უკეთ გაანალიზების შემდეგ, მას შემდეგ რაც დარგის ექსპერტისა და ცენტრის თანამშრომელთან კონსულტაციების გავლის შემდეგ, მიიღეს გადაწყვეტილება მოითხოვონ პროგრამის დონის ცვლილება. შესაბამისად, შემდგომ სწავლის შედეგებსაც გაამარტივებენ და დახვეწავენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენელს, ხომ არ იქნებოდა უკეთესი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შევიწროება, ასევე, ისეთი პირების მიღება, რომელთაც აქვთ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, მან დასძინა, რომ იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, გაუჭირდებოდათ მისი აზრით 11 კვირაში ამ პროგრამის შესწავლა.
ამასთან დაკავშირებით რუსუდან ბოჭორიშვილმა განაცხადა, რომ ისინი მზად იყვნენ გაეთვალისწინებინათ რჩევები/რეკომენდაციები, თუმცა დოკუმენტებით და გასაუბრების შემდეგ, შეიძლება გაიცხრილოს ყველა ის ადამიანი, რომელიც ვერ აცნობიერებს და ზოგადად, არ იცნობს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამას, რადგან ეს ძალიან სპეციფიური პროგრამაა, ამიტომაც არის ეს ორი ეტაპი, სანამ მოხვდებიან თვითონ პროგრამაზე, მან დასძინა, რომ ეთანხმება რეკომენდაციას, რომ რაღაც გამოცდილება ჩაიდოს წინაპირობაში, თუმცა არ უნდა შემოიფარგლოს ბაკალავრის მიმართულება, რადგან რეგიონებში იმდენად ჭირს და იმდენად დეფიციტია ფსიქოლოგიის, ოკუპაციური თერაპიის, ენამეტყველების სპეციალისტის კვალიფიკაციის კადრები, რომელიც სპეციფიურად მუშაობს ამ მიმართულებით და დიდი გამოცდილებით გამოირჩევიან მაგალითად, პედაგოგები, რომლებსაც გამოცდილება აქვთ ბავშვებთან მუშაობის და სურვილიც, შესაბამისად თუნდაც ფიზიკის მასწავლებელიც შესაძლოა ძალიან კარგი სპეციალისტიც გახდეს, თუ გაივლის ამ მომზადების კურსს, გარდა ამისა, პროგრამა ხომ შეფასებასაც მოიცავს და უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, თუ ვერ ჩააბარებს გამოცდას, ვერ მიიღებს ამ სერტიფიკატს.
შემდეგ ისაუბრა ანა გაზაშვილმა, მან აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული საბაკალავრო პროგრამები ისეა აწყობილი, რომ შესაძლოა იყო განათლებით ფსიქოლოგი, თუმცა სწავლის პერიოდში საერთოდ არ გქონდეს შეხება ბავშვთა განვითარებასთან, შესაბამისად მიმართულების შეზღუდვა არაფრის მომცემია ამ შემთხვევაში და აღნიშნული პროგრამა ისეა

დალაგებული, რომ სავსებით საკმარისია პირმა მიიღოს ცოდნა ამ მიმართულებით სამუშაოდ, რაც საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას საერთოდ შეიძლება გაგონილიც არ ჰქონდეს.
ნინო ცინცაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა საკმაოდ რთულია, არა მეოთხე, არამედ მეხუთე დონეც კი შეიძლება ცოტა იყოს ამისთვის და არ იყოს ადეკვატური. ამ პროგრამაში გათვალისწინებულია უცხოური ანალოგიებიც და გამოცდილებაც, შეიძლება ის რომელიმე კონკრეტული პრობლებისა, თუ დარღვევის რეაბილიტაციისთვის არ მუშაობს, მაგრამ მშობლებთან გაშუალებული მუშაობა საკმაოდ რთულია და საკმაოდ დასაფასებელი პროფესიაა, მოთხოვნა ძალიან დიდია ამ პროგრამაზე, ჯანდაცვის სამინისტროსაც დიდი სურვილი აქვს, რომ რეგიონებშიც ხელმისაწვდომი გახადოს ეს ყველაფერი, ამიტომ დიდი ხანია მიდის მუშაობა ამ მიმართულებით და ნებისმიერი შემოთავაზება, თუ რეკომენდაცია მისაღებია, ძალიან კარგი იქნება, გამოცდილებაც რომ ჩაიდოს წინაპირობაში და სწავლის შედეგებშიც იქნას გათვალისწინებული რეკომენდაციები.

შემდეგ ისაუბრა პროგრამის განმახორციელებელმა ინგა ზარანდიამ, მან აღნიშნა, რომ მათი მრავალწლიანი გამოცდილება აჩვენებს, შეზღუდვა განათლების მიხედვით არასწორია, რომელიმე კონკრეტული სპეციალობის მქონე პირის მომზადება ამ მიმართულებით არ განსაზღვრავს მის კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებას, მეტიც, ყოფილან სრულიად გამოუცდელი ბაკალავრიატის კურსდამთავრებული პირები, რომლებსაც აღნიშნულ პროგრამაზე დიდი წარმატებით უსწავლიათ და შემდგომ უმუშავიათ. სპეციალისტის წარმატებას არ განსაზღვრავს სპეციალობა, ყოფილან ისეთებიც, რომლებიც სულ სხვა პროფესიიდან მოსულან და შემდგომ ძალიან კარგად უმუშავიათ ამ მიმართულებით. გამოცდილება ადასტურებს, რომ ისეთი პირებიც სწავლობდნენ, რომლებიც სხვა მსგავსი პროგრამების ფარგლებში მუშაობდნენ, ან ქცევის თერაპევტად, ან რომელიმე სპეციალისტად, ჰქონდათ წინარე ცოდნაც და გამოცდილებაც, თუმცა ისე კარგად ვერ ართმევდენ თავს პროგრამას, როგორც სხვა, მაგალითად, სრულიად გამოუცდელი მსმენელები, რომლებიც მოდიან და სულ თავიდან სწავლობენ ამ ყველაფერს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უდაოდ ძალიან სპეციფიკური, მნიშვნელოვანი და საჭირო პროგრამაა, სამიზნე ჯგუფიც უმნიშვნელოვანესი და გასათვალისწინებელია არა მარტო რეგიონები, არამედ დიდ ქალაქებშიც ნამდვილად ჭირს და ბევრია სამუშაო ამ მიმართულებით, მან დასძინა, რომ ძალიან კომპეტენტურები და გამოცდილები არიან, თუმცა სწავლის შედეგები ნამდვილად საჭიროებს კორექტირებას და კონკრეტულად ფორმულირებას, ასევე, პროგრამის დონეზეც გეთანხმებით, დაშვების წინაპირობაზეც პირადად მისი მოსაზრებით შეიძლება დაზუსტდეს, თუმცა ეს მიმართულება რადგან პირველ ნაბიჯებს დგამს ჩვენს ქვეყანას.
დარგის ექსპერტმა ელენე ბერაძემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა იმდენად სპეციფიკურია, რომ მისი აზრითაც თავიდანვე უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რას მოიცავს ის და კონკრეტულად ვის შეუძლია ისწავლოს ამ მიმართულებით, როდესაც ეცნობა ადამიანი დაშვების წინაპირობას არ ჰქონდეს დაბნეულობის განცდა და არ შეუქმნას იმის წარმოდგენა, რომ ნებისმიერს შეუძლია მასზე სწავლა. მან როგორც დარგის ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგრამის საჭიროება ნამდვილად დგას, როგორც ერთ-ერთი სუპერვიზორი, იცნობს საკითხს და იცის, რომ სერვისის მსურველები წლობით დგანან მომლოდინეთა რიგში, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ამ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები კადრის დეფიციტისა და დენადობის გამო დახურვის პირას არიან. მეორე რაც მინდა აღინიშნოს, სწორედ საერთაშორისო და ასევე, საქართველოს მაგალითზეც გამოცდილებით ჩანს, რომ არ არის აუცილებელი იყო რომელიმე კონკრეტული სპეციალობის მქონე, ან კონკრეტულად ფსიქოლოგი, იმისათვის, რომ წარმატებით ჩაერთო ამ საქმიანობაში, აღნიშნა დარგის ექსპერტმა.
კიდევ, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, წარმოდგენილი პროგრამის თითოეული მასალა და სასწავლო რესურსი, ასევე, თითოეული პრეზენტაცია იმდენად ადაპტირებული და

მორგებულია ნებისმიერი განათლების მქონე პირისთვის, როგორც მშობლისთვის, რომელსაც სპეციალისტი უნდა ესაუბროს ბავშვის განვითარების შესახებ მარტივი და გასაგები ენით, სავსებით აძლევს საშუალებას ნებისმიერ მსურველს (ნებისმიერი განათლებისა და გამოცდილების მქონეს) ამ დამუშავებული რესურსით ჩაერთოს ამ პროგრამაში.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო პროგრამაა, ცენტრსაც ბევრი მსჯელობა ჰქონდა პროგრამის დონესთან დაკავშირებით და დაწესებულებას დაეთანხმა მათ განსაზღვრულ დონეზე, თუმცა რადგან დაწესებულებამ მეტად გააანალიზა და მეხუთე დონის მინიჭება გადაწყვიტა, სავსებით მისაღებია, ეს საკითხი უნივერსიტეტსაც აინტერესებს და შესაძლოა შემდგომ დაწესებულებას ჰქონდეს კომუნიკაცია და სამაგისტრო პროგრამაზეც იფიქრონ.
მან მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პროგრამის კვალიფიციურად შეფასებისთვის და წარმატება უსურვა ორგანიზაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ორგანიზაციის წარმომადგნელს, რომ განსაზღვრულ ვადაში გაესწორებინათ პირველი სტანდარტის ფარგლებში დაფიქსირებული ხარვეზები და შესაბამისად, საბჭო განიხილავდა ამ საკითხს შემდეგ ეტაპზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის "ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მომზადების პროგრამა" /01819/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოალიციას ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის (ს/კ: 405111221) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მომზადების პროგრამა /01819/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

6. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „კლდეზე ცოცვის გამყოლი" /01816/ ქ. თბილისში, მეკლდეურთა სპორტულ დარბაზში (შპს ალპური კლუბი), ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე, თურქეთის პროვინცია გეიკბაირში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 15 ნოემბრის №1557591 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ლაზარე კომახიძემ განახორციელეს ვიზიტი, თბილისში, კოსტავას ქ. №37. შპს ალპურ კლუბში (მეკლდეურთა სპორტულ დარბაზში). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული გადამზადების პროგრამის „კლდეზე ცოცვლის გამყოლი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 1.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.4 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

რეკომენდაცია: პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მოთხოვნილია მინიმუმ ერთი უცხო ენის ცოდნა. მიზანშეწონილია, რომ უცხო ენის ცოდნა არ იყოს სავალდებულო მოთხოვნა, რადგან ამ პირობით შეიძლება შეიზღუდოს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი, ამიტომ უმჯობესია პროგრამის დაშვების წინაპირობებში ჩაიწეროს შემდეგი: ,,სასურველია მინიმუმ ერთი უცხო ენის ცოდნა''.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 8, პროგრამის განხორციელების ადგილი - პროგრამის განხორციელების ადგილი -თბილისი ,,მეკლდეურთა სპორტული დარბაზი'', ჭიათურის რაიონი, სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები, თურქეთის პროვინცია გეიკბაირი.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი, სადაც მოყვანილია სხვადასხვა უწყებების კვლევები და სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით.

დოკუმენტში მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია კლდეზე ცოცვის დარგის რეგიონალური მასშტაბით სწორად განვითარებას და რაოდენ პოპულარული და მზარდია კლდეზე ცოცვის დარგი საქართველოს სათავგადასავლო ტურიზმის არენაზე. მან თავისი საპატიო ადგილი უკვე დაიკავა

საქართველოს სათავგადასავლო დისციპლინებს შორის და ეხლა ხელშეწყობა და თანადგომა ესაჭიროება განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებზე გასვლისთვის.
შრომით ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ და კერძო სექტორის დაინტერესებამ, მიიღოს პროფესიისთვის შესაბამისი ცოდნა უკვე შემდგარი, პროფესიონალი კლდეზე ცოცვის გამყოლებისგან, სკოლა/კოლეჯს მისცა საფუძველი შეექმნა პროფესიული გადამზადების პროგრამა „ კლდეზე ცოცვის გამყოლი“.
წარმოდგენილი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.
პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია: ასაკი: 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. სხვა მოთხოვნები: ცოცვის დონე და ფიზიკური მომზადება, 6c on sight, 7b red point (სამი ცდა), მინიმუმ ერთი უცხო ენის ცოდნა, აპლიკანტმა/მსმენელმა თან უნდა იქონიოს პირადი აღჭურვილობა. აღჭურვილობა უნდა აკმაყოფილებდეს შენახვის და ექსპლუატაციის ნორმებს, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა, მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები.
აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს 14 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამის ხანგრძლივობა 8 კვირაა, რომელიც მოიცავს 320 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 40 საათი. სწავლება გადანაწილებულია ერთ სასწავლო წელზე. ოთხივე სეზონის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება საველე პირობებში, სხვადასხვა ქანისა და რელიეფის ბუნებრივ კლდეებზე. პროგრამით გათვალისწინებული მეხუთე და მეექვსე კვირა ხორციელდება თურქეთის პროვინცია გეიკბაირში.
სწავლების პროცესი მიმდინარეობს ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველ პირობებში და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. აქტივობების დროს შეზღუდულია ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: ექსპერტისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/4-ზე. სწავლების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები ხორციელდება ერთდროულად, შერეული ფორმით.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად ხორციელდება C - საწავლო გარემოში, კერძოდ, ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხში და სოფ. სვერში არსებულ კლდოვან მასივებში, თბილისში, ალპურ კლუბში და თურქეთის პროვინცია გეიკბაირში.
სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას ხელშეკრულება დადებული აქვს შპს ალპურ კლუბთან, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მეშვიდე სასწავლო კვირას ორი სწავლის შედეგის სწავლებას მის მფლობელობაში არსებულ სპეციალური ინვენტარით აღჭურვილ დარბაზში.
დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა დოკუმენტი ,,თურქეთში სწავლების ჩატარების აუცილებლობის დასაბუთება'', სადაც განმარტებული აქვს თუ რატომ არის მნიშვნელოვანი პროგრამის ორ კვირიანი სწავლება გაანხორციელდეს თურქეთში.
დაწესებულების წარმომადგენელმა და პროგრამის განმახორციელებელმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ, კლდეზე ცოცვის მაღალი დონის გამყოლების მოსამზადებლად საჭიროა სხვადასხვა ქანის და სირთულის მარშრუტზე ინტენსიური სწავლების ჩატარება, ამიტომ სწავლება უნდა განხორციელდეს ისეთ კლდოვან რელიეფზე, სადაც საცოცი ბილიკის სირთულე, ე.წ. ფრანგული შეფასების შკალით შვიდიანი და რვიანი სირთულისაა. საქართველოში არსებული კლდოვანი რელიეფი აღნიშნული სირთულის მხოლოდ რამოდენიმე მარშრუტს გვთავაზობს. ძირითადად კლდეზე ცოცვის მარშრუტების უმეტესობა დამწყებ და საშუალო დონის სირთულის მცოცავებისთვისაა განკუთვნილი. სამწუხაროდ საქართველოში მაღალი სირთულის მარშრუტები არ არსებობს.

ვინაიდან კლდეზე ცოცვის გამყოლის გადამზადების პროგრამა იქმნება საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოში არსებული სასწავლო გარემო არ აკმაყოფილებს სწავლების საერთაშორისო სტანდარტებს, ამიტომ დაწესებულებას მიზანშეწონილად მიაჩნია სწავლის ორი შედეგის (5-ე და 6-ე კვირა) საზღვარგარეთ სწავლება, კერძოდ თურქეთის პროვინცია გეიკბაირში. მათი არჩევანი განპირობებულია ორი გარემოებით: თურქეთი საქართველოსთან ახლოს მდებარეობს და თურქეთში ბევრად უფრო ხელმისაწვდომი ფასებია ვიდრე ალპების ნებისმიერ ქვეყანაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვიზიტის დროს წარმოადგინა თურქეთის პროვინცია გეიკბაირში არსებულ ბანაკის ,,Greenhouse Geyikbayri'' წერილი, (წერილი გამოიგზავნა ელ.ფოსტის საშუალებით ნათარგნია ქართულად და დამოწმებულია ნოტარიულად) რომლის თანახმად, ბანაკის მფლობელი გამოთქვამს მზადყოფნას ხელი შეუწყოს სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ეგიდით ჩასატარებელ გიდების მომზადებას ბანაკის ირგვლივ გეიკბაირის კლდეებზე, ასევე სამი ინსტრუქტორისა და რვა სტუდენტის განთავსებას ორი კვირის განმავლობაში.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებამ განაცხადის მიხედვით პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მოითხოვა 8 მსმენელი, პროგრამის სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი მსმენელმა თავად უნდა იქონიოს, (დაშვების წინაპირობაში აქვს დაწესებულებას მოთხოვნილი) ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის განმახორციელებლები თვითონ უზრუნველყოფენ საჭირო აღჭურვილობას პროგრამის სწავლების დროს, რომელიც განსაზღვრულია გადამზადების პროგრამის დოკუმენტში:

ვიზიტის დროს მოხდა თბილისში არსებული ,,შპს ალპური კლუბის'' დათვალიერება, რომელთანაც ხელშეკრულება აქვს დადებული დაწესებულებას. ალპურ კლუბში არსებული გარემო და საჭირო ინვენტარი ნამდვილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების (მე-13 და მე-14) მიღწევას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 4 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირი.

აღნიშნული პროგრამის სწავლებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 3 სასწავლო ლიტერატურა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გაიკვა, ამ დარგის მიმართულებით ქართულ ენოვანი სახელმძღვანელოები თითქმის არ არსებობს, ამიტომ, განმახორციელებელ პირებს აქვთ მომზადებული პრეზენტაციები, ჰენდაუთები, პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, ასევე, აქვთ ინტერნეტ რესურსის ელექტრონული ვერსიები.

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ სურდათ აზრის გამოხატვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ აზრის გამოხატვის სურვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „კლდეზე ცოცვის გამყოლი“ /01816/ ქ. თბილისში, მეკლდეურთა სპორტულ დარბაზში (შპს ალპური კლუბი), ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე, თურქეთის პროვინცია გეიკბაირში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, 1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - კლდეზე ცოცვის გამყოლი /01816/ ქ. თბილისში, მეკლდეურთა სპორტულ დარბაზში (შპს ალპური კლუბი), ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე, თურქეთის პროვინცია გეიკბაირში **(დანა რთი 5)**.

7. შპს ,, MAGNIUM+”-ის „VRF & VRV სისტემების მომსახურება" /01796/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 15 ნოემბრის №1557590 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და მოწვეულმა დარგის ექსპერტმა, აკაკი ჟღენტმა განახორციელეს ვიზიტი, შპს ,,MAGNIUM+”-ში, მისამართი: თბილისი, ლ. ანდრონიკაშვილის 4გ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მოპმზადების პროგრამის „VRF & VRV სისტემების მომსახურება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაციები 1.4 და 3.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი: 1.4 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

რეკომენდაცია: პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში, დაშვების წინაპირობებში განსაზღვრულია აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება, გამოცდა. გადამოწმდა მოქმედი პრაქტიკა, თუ რომელი მეთოდით მოხდა აპლიკანტთა შერჩევა იგივე პროფესიული მომზადების პროგრამაზე და დადგინდა, რომ აპლიკანტების შერჩევა მოხდა მხოლოდ გასაუბრების ფორმით, რომელიც ეხება აპლიკანტის მოტივაციას და ლოგიკურ აზროვნებას, ხოლო გამოცდა პრაქტიკაში არ ჰქონიათ და არც შესაბამისი საგამოცდო თემატიკა აქვთ განსაზღვრული. ამიტომ მიზანშეწონილია პროგრამის დოკუმენტის დაშვების წინაპირობებში აპლიკანტის შერჩევის ფორმად განისაზღვროს მხოლოდ გასაუბრება.

ქვესტანდარტი 3.7 გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს

რეკომენდაცია: დაწესებულების მიერ გაცემულ სერტიფიკატში დაფიქსირებულია ,,პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა'', ასევე მითითებულია შემდეგი ინფორმაცია: ,,კრედიტების რაოდენობა/პროგრამის ხანგრძლივობა'', ვინაიდან სერტიფიკატი არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, შეიცავს რიგ დამცავ ნიშნებს: ამ კონკრეტულ შემთხვევაში სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს ინფორმაციის მითითებას პროფესიული მომზადების პროგრამის შესახებ, რადგან დასრულებული პროგრამის სახეა პროფესიული მომზადება, ასევე, უნდა მიეთითოს ინფორმაცია პროგრამის ხანგრძლივობის შესახებ.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, პროგრამის განხორციელების ადგილი, ქ. თბილისი ლუარსაბ ანდრონიკაშვილის 4გ.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ შპს MAGNIUM+-ს წარმოდგენილი აქვს პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავების საჭიროების დასაბუთება კომპანიის მიერ გაკეთებული კვლევის შედეგთან ერთად. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ორგანიზაციამ ჩაატარა HVAC (გათბობა- ვენტილაცია- ჰაერის კონდიცირების) ბაზრის დასაქმებულთა სექტორის მოთხოვნა- მიწოდების და კომპეტენციის დონის კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა HVAC ბაზრის დასაქმების სექტორის მიწოდებისა და ეფექტიანობის კვლევა საქართველოს მასშტაბით, პროფესიული გამოწვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირება და შესწავლა. კვლევის რესპოდენტებად შეირჩა ქვეყნის მასშტაბით HVAC ბაზარზე მომუშავე 50 კომპანია, რომელთა ძირითადი პროფილია გათბობა, ვენტილაცია, ჰაერის კონდიცირების აგრეგატების მონტაჟი. კვლევის თანახმად, 2019 წელს, გამოკითხული კომპანიების 66%-ს უთქვამს უარი შეკვეთაზე იმ მიზეზით, რომ არ ჰყავდათ შესაბამისი რაოდენობის სპეციალისტი.

სამშენებლო ბაზარი ყოველწლიურად იზრდება და შესაბამისად მოთხოვნაც HVAC დარგის სპეციალისტებზე და თუ დასაქმების სექტორი ვერ უზრუნველყოფს მიწოდების ზრდას, დეფიციტი კიდევ უფრო მასშტაბური, ხოლო სამუშაოები კიდევ უფრო ძვირადღირებული გახდება.

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა ისეთი თემატიკები რაც არ არის გათვალისწინებული ქვეყნის მასშტაბით ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ,,ჰაერის კონდიცირების'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში.

აღნიშნული თემატიკები გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროგრამაში შპს MAGVIUM+ -ის მიერ.

ამდენად, წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა „VRV&VRF სისტემების მომსახურება“ ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.
წარმოდგენილი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ასაკი - 18 წელი, სრული ზოგადი განათლება, ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება, გამოცდა.
პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია 4 სწავლის შედეგით, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამის ხანგრძლივობა 8 კვირაა, რომელიც მოიცავს 120 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 15 საათი.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, ორგანიზაცია განხორციელებას გეგმავს საკუთარ ფართში არსებულ A და C სასწავლო გარემოში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას მსმენელები გაივლიან შესაბამისი ადაპტირებული C სასწავლო გარემოში, ჰაერის კონდიცირების ლაბორატორიაში, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას ერთდროულად გაივლის 5 მსმენელი (წინასწარ განსაზღვრული ცხრილის მიხედვით). პროფესიული მომზადების პროგრამის დაახლოებით 60 % ეთმობა პრაქტიკულ სწავლებას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით.
შპს MAGNIUM+ის მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა - 20. ორგანიზაციის კუთვნილი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, ლ. ანდრონიკაშვილის 4გ. სადაც განთავსებულია ორსართულიანი შენობა, ორი საკონფერენციო დარბაზით თეორიული სწავლებისათვის და რამდენიმე მცირე ზომის აუდიტორია პრაქტიკული მეცადინეობებისთვის, c-სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური დონის შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობებით, რომლის საშუალებითაც მსმენელებს შეუძლიათ სრულფასოვნად აითვისონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დასკვნით, ასევე დაწესებულებას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია“.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით - წარმოადგინა ,,პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება''.
დაწესებულებამ წარმოადგინა ,,მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელის სტატუსის მინიჭების და შეწყვეტის წესი'', რომლის შესაბამისადაც გეგმავს დაწესებულება მსმენელთა შერჩევას, აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით და კითხვარებით.
იურიდიული პირი, როგორც ბაზრის უპირობო ლიდერი, აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას შესაბამისი დარგის განვითარებაში; გამომდინარე იქიდან, რომ იურიდიული პირი პირდაპირ არ არის ჩართული რეალიზებული პროდუქციის მონტაჟსა და სერვის-მომსახურებაში, მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ სტატისტიკურად 80% შემთხვევაში ტექნიკური გაუმართაობა გამოწვეულია არასწორი მონტაჟის ან/და არასათანადო სერვის მომსახურებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია

აღნიშნულ სფეროში კომპეტენციისა და ცოდნის დონის ამაღლება. იურიდიულმა პირმა აიღო საკუთარ თავზე ცოდნის გავრცელების პასუხისმგებლობა და სწავლებას ახორციელებს საერთაშორისო სტანდარტების ბოლო თაობის ტექნოლოგიებით აღჭურვილ ტრენინგ აკადემიაში. სწავლებას ახორციელებენ HVAC (გათბობა-ვენტილაცია და ჰაერის კონდიცირება) დარგში მოღვაწე პროფესიონალი ინსტრუქტორები/ტრენერები. ტრენინგ აკადემიაში ფორმალური განათლების ფარგლებში უკვე 100-ზე მეტი პირი მოამზადა.
იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, გადამოწმდა კომპანიის ვებგვერდი და სოციალური ქსელი და დასტურდება, რომ იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას.
დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში https://e-vet.emis.ge/ მონაცემთა დროულ ასახვას მოქმედი რეგულაციის დაცვით, რაც დადასტურდა ელექტრონულ სისტემის შემოწმებით.
დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით info@midea.com.ge - თი.
გადამოწმდა მომზადება/გადამზადების პროგრამისათვის გავლის შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის სისწორე. დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის ფორმაც შეთანხმებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ასევე გადამოწმდა ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სერტიფიკატები.
პრეზენტაციის ბოლოს სალომე ქუთათელაძემ წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
მან ასევე აღნიშნა, რომ ორგანიზაციას ამ პროგრამაზე მოპოვებული ჰქონდა განხორციელების უფლება და ახორციელებდა მსმენელების მირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ იზიარებდნენ თუ არა რეკომენდაციებს, რაზეც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იზიარებენ და ენობრივ სისწორეზე შემოიტანდნენ ცენტრში წერილს და შესაბამისად ჩასწორდება სერტიფიკატები, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაციაც გაითვალისწინეს. შემდეგ მან ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ სამი წლის განმავლობაში გადამზადდა 6 ჯგუფი, 112 პირი, ყველა ჯგუფში ჩატარებულ იქნა გამოკითხვები და გათვალისწინებული იქნა გამოკითხვის შედეგები.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იმედი ჰქონდა, რომ ასეთივე წარმატებით განახორციელებდა ორგანიზაცია შემდეგ ეტაპზე წარმოდგენილ პროგრამას.
ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს და დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ წარმოდგენილი პროგრამის გადაწყვეტილებისთვის ამოქმედების თარიღი, კერძოდ, 2021 წლის 12 მარტს იწურება 3 წელი, შესაბამისად გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი, ან დაფიქსირდეს ელექტრონულ სისტემაში 2024 წლის 12 მარტი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,, MAGNIUM+''-ის „VRF & VRV სისტემების მომსახურება'' /01796/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს MAGNIUM+სს (ს/კ: 400019494) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - VRF & VRV სისტემების მომსახურება /01796/ **(დანართი 6)**.

გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 12 მარტი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:05 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01809	თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება	მომზადება	მესამე	12	ქართული	10	ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №30

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01810	მაკიაჟის შესრულება	მომზადება	მესამე	9	ქართული	10	ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №30

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01811	ფრჩხილის მოვლა და დიზაინი	მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №30

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01817	ღონისძიებების ფოტოგადაღება	მომზადება	მეოთხე	11	ქართული	10	ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. №52

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01816	კლდეზე ცოცვის გამყოლი	გადამზადება	მეხუთე	8	ქართული	8	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №37. მეკლდეურთა სპორტული დარბაზი (შპს ალპური კლუბი); ჭიათურის რაიონი, სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები; თურქეთის პროვინცია გეიკბაირი

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01796	VRF&VRV სისტემების მომსახურება	მომზადება	მეოთხე	8	ქართული	20	ქ. თბილისი, ლ. ანდრონიკაშვილის ქ. №4გ